



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER  
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-15/6744  
11/07/2023

6744-15-15-2-202307111515



ბათუმის საქალაქო სასამართლოს  
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს  
ბატონო ჯუმბერ ბეჟანიძეს

**სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება**

არასრულწლოვანი [REDACTED] საქმეზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგ ზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ჯუმბერ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს არასრულწლოვანი [REDACTED] მიმართ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით წარმოებულ საქმეს. მოცემულ ეტაპზე, საქმეს განიხილავს ბათუმის საქალაქო სასამართლო [REDACTED]

ადვოკატის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ მსგავს შემთხვევებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. შესაბამისად სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

**1. სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება**

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი“.<sup>1</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში“.<sup>2</sup>

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის მხოლოდ იმ სტანდარტის

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35, პირველი პუნქტი.

<sup>2</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 21, „ე“ ქვეპუნქტი.

იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

იმედია, წინამდებარე მოსაზრება დაეხმარება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში და თავიდან იქნება აცილებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევა, ასევე, შესაძლებელი გახდება საქართველოს კონსტიტუციით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებული უფლებების შესაბამისად, იმ სისტემური ხარვეზების პრაქტიკულ დონეზე გამოსწორება, რომელიც დღესდღეობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოძველებული დებულებებით არის განპირობებული.

## 2. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადვოკატმა წარმოადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები. კერძოდ:

- ადმინისტრაციული დაკავების ოქმი,<sup>3</sup> რომლის მიხედვით, [REDACTED] დააკავეს 2023 წლის 3 ივნისს, 22:08 საათზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე პირველი ნაწილის და 173-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ოქმში დაკავების საფუძველად მითითებულია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. ხოლო მოტივად დასახელებულია, რომ 2023 წლის 3 ივნისს, ქ. ბათუმში, ევროპის მოედანზე მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია, რომელშიც მონაწილეობდა [REDACTED] აქციის მიმდინარეობის დროს, [REDACTED] გამალა პლაკატი, რომელიც იყო შეურაცხყოფელი შინაარსის კონკრეტული პირის მიმართ. პოლიციის თანამშრომლებმა განუმარტეს, რომ სცდებოდა გამოხატვის თავისუფლებას, რაზეც გახდა აგრესიული, პოლიციის თანამშრომლებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. არაერთი მოწოდების მიუხედავად, რომ არ გაეშალა პლაკატი, განმარტა, რომ პლაკატი ექნებოდა გაშლილი. დაკავების დროს პოლიციის თანამშრომლებს გაუწია წინააღმდეგობა;
- ინფორმაცია არასრულწლოვან [REDACTED] ადმინისტრაციული სახდელდადების შესახებ;
- 2023 წლის 22 ივნისს შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი,<sup>4</sup> რომლის თანახმად, 2023 წლის 3 ივნისს, დაახლოებით 22:00 საათზე, ქ. ბათუმში, ევროპის მოედანზე მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია, რომელშიც მონაწილეობდა [REDACTED] [REDACTED] არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, რაც გამოიხატებოდა მის მიერ უცენზურო სიტყვებით ლანძღვა-გინებაში კონკრეტული პირის მისამართით. პოლიციის თანამშრომლების არაერთი მოწოდების მიუხედავად, დამორჩილებოდა კანონიერ მოთხოვნას, მის მიერ არ იქნა გათვალისწინებული. დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებს გაუწია წინააღმდეგობა;

<sup>3</sup> ადმინისტრაციული დაკავების ოქმი N [REDACTED].

<sup>4</sup> ადმინისტრაციული სამართალდარღვევის N [REDACTED] ოქმი.

- ოქმი სატელეფონო გასაუბრების შესახებ,<sup>5</sup> რომლის თანახმად, [REDACTED] ეცნობა მისი არასრულწლოვანი შვილის, [REDACTED] დაკავების შესახებ;
- [REDACTED] 2023 წლის 3 ივნისის ხელწერილი, პოლიციის მოთხოვნის შესაბამისად, მათ მიერ მითითებულ ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადების შესახებ;
- ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილების უბნის უმცროსი ინსპექტორის, [REDACTED] 2023 წლის 3 ივნისის ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად [REDACTED] განმარტავს, რომ [REDACTED] არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, რაც გამოიხატებოდა მისი მხრიდან სხვადასხვა სახის გინებაში, შეურაცხყოფელ და უცენზურო შემახილებში, ასევე, პლაკატზე გაკეთებული წარწერით „ირაყი“. მისი მხრიდან იკვეთებოდა საზოგადოების მიმართ აშკარა უპატივცემულობა, არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და სიმშვიდეს. [REDACTED] განმარტებით, მისი მოწოდების საპასუხოდ, [REDACTED] უფრო გაღიზიანდა და დაიწყო მის მიმართ უპატივცემულო შემახილები, ეძახდა [REDACTED] რუსეთის მონას, პოლიციის თანამშრომლების მიმართ იძახდა, რომ იყვნენ ძაღლები.

სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გავრცელებულ ვიდეოში<sup>6</sup> ჩანს [REDACTED] დაკავების ფაქტი. კადრში არ ჩანს [REDACTED] მიერ პოლიციის თანამშრომლისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ან შეურაცხყოფელი პლაკატის ჭერის ფაქტი. ამავე ვიდეო ჩანაწერში [REDACTED] პირველივე წუთებიდან ჩანს, რა დროსაც პოლიციის თანამშრომელი ესაუბრება ერთ-ერთ მოქალაქეს, ხოლო [REDACTED] დგას და უსმენს, ხელში პლაკატი არ უჭირავს და მისი მხრიდან არც შეურაცხყოფელი წამომახილები ისმის.

### **3. სამართლებრივი სტანდარტები**

წარმოდგენილ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში განხილულია საქართველოს კონსტიტუციითა და ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“ გარანტირებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების, ასევე, სამართლიანი სასამართლოს უფლების ასპექტები, რაც დაეხმარება სასამართლოს კონკრეტულ საქმეზე მიიღოს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან შესაბამისი გადაწყვეტილება.

მნიშვნელოვანია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორედ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სტანდარტების დაცვით შეაფასოს პოლიციელთა მოთხოვნის კანონიერების საკითხი, რის გამოც არასრულწლოვანი [REDACTED] მიმართ შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

#### **3.1. შეკრების თავისუფლებით დაცული სფერო**

<sup>5</sup> ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეოთხე განყოფილების უფროსი გამომძიებლის [REDACTED], 2023 წლის 3 ივნისის, ოქმი სატელეფონო გასაუბრების შესახებ;

<sup>6</sup> ვიდეო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: < [bit.ly/3XDOLQ9](https://bit.ly/3XDOLQ9) > [ბოლოს ნანახია: 05.07.2023]. 02:09 წუთიდან.

შეკრების თავისუფლება, როგორც აზრის გავრცელების საშუალება, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია.<sup>7</sup> მშვიდობიანი შეკრების უფლება ფუნდამენტური შესაძლებლობაა, ინდივიდებმა, მიუხედავად მათი სტატუსისა, გამოხატონ გრძობები, შეხედულებები<sup>8</sup> და პროტესტი სხვადასხვა საკითხის მიმართ, გააკრიტიკონ საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებები, წარადგინონ ალტერნატიული ან/და არაპოპულარული მოსაზრებები და მოახდინონ უმცირესობის თუ მარგინალიზებული ჯგუფების ინტერესების ადვოკატირება.<sup>9</sup> ამდენად, შეკრება ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების საჯარო განხილვას,<sup>10</sup> ცნობიერების ამაღლების, ცვლილებებისა და რეფორმების პროცესს და წარმოადგენს ხელისუფლებაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ძლიერ საშუალებას.<sup>11</sup>

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია შეკრების თავისუფლება და რეგლამენტირებულია წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების შესაძლებლობა.<sup>12</sup> შეკრების თავისუფლება, როგორც გამოხატვის სპეციალური ფორმა, ინსტრუმენტული უფლებაა, რომელსაც ორი თანაბრად მნიშვნელოვანი ასპექტი გააჩნია: ფორმალური მხარე - რომელიც შეკრებაში გამოიხატება და შინაარსობრივი მხარე - კონკრეტული აზრი, რომელსაც შეკრება ემსახურება.<sup>13</sup> მსგავსი უფლება აღიარებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით<sup>14</sup> და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით.<sup>15</sup>

ზემოაღნიშნული მოწესრიგების საფუძველზე, მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათის შეკრებაა დაცული.<sup>16</sup> შესაბამისად, პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფარგლების განსაზღვრას,

<sup>7</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Djavit An v. Turkey*, პარ. 56.

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/538 გადაწყვეტილება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.1.

<sup>9</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), შეკრების თავისუფლების მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2011, გვ. 7, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3bQA9EV> > [ბოლოს ნანახია: 05.07.2023].

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრომა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა, პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად, მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაზი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 25.

<sup>11</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), შეკრების თავისუფლების მონიტორინგის სახელმძღვანელო, 2011, გვ. 7.

<sup>12</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21.

<sup>13</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ.4.

<sup>14</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 11.

<sup>15</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 21.

<sup>16</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 11; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 21; ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 25, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/35TFVYe> > [ბოლოს ნანახია: 05.07.2023]; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 11-20, ხელმისაწვდომია: < <https://bit.ly/3j9QWTG> > [ბოლოს ნანახია: 05.07.2023].

რომლის დარღვევის შემთხვევაშიც, შეკრება სცდება უფლებით დაცულ სფეროს და არამშვიდობიანად მიიჩნევა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისისა და ვენეციის კომისიის მიერ შემუშავებული შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები,<sup>17</sup> ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა,<sup>18</sup> მიუთითებს, რომ შეკრება მშვიდობიანად უნდა ჩაითვალოს, თუ მისმა ორგანიზატორებმა მშვიდობიანი ზრახვები გააჟღერეს და აქციის მონაწილეთა ქცევა არაძალადობრივია.

ტერმინი „მშვიდობიანი“ იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ მოიცვას ქმედებები, რომლებიც, შესაძლოა, ვინმეს აღიზიანებდეს ან შეურაცხყოფდეს, აგრეთვე დროებით აფერხებდეს ან ხელს უშლიდეს მესამე პირთა აქტივობებს.<sup>19</sup> როგორც წესი, ყოველთვის მოქმედებს შეკრების მშვიდობიანი ხასიათის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა აშკარა და ხილული მტკიცებულება, რომ ორგანიზატორები ან მონაწილეები ძალადობის გარდაუვლად გამოყენებას, ძალადობისკენ მოწოდებას ან მის გამოწვევას აპირებენ.<sup>20</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ძალადობა“ გულისხმობს შეკრების მონაწილეთა მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენებას, რომლის შედეგადაც, მოსალოდნელია გარდაცვალება, ჯანმრთელობის<sup>21</sup> ან საკუთრების სერიოზული დაზიანება.<sup>22</sup>

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ შეკრების თავისუფლების მარეგულირებელი სტანდარტებით, უფლების სუბიექტს მინიჭებული აქვს, მათ შორის, შეკრების შინაარსისა და ფორმის არჩევის საშუალება, რაც შესაძლებელს ხდის, შეკრების მიმდინარეობისას, კონკრეტული აზრის გამოხატვას როგორც ვერბალური, ისე არავერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით (მაგალითად, წერილობითი, ტექნიკური საშუალებებით ან ვიზუალური გამოსახულებების მეშვეობით).<sup>23</sup>

<sup>17</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 1.3.

<sup>18</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Kudrevičius and Others v. Lithuania*, პარ. 92. სასამართლოს მითითებით, შეკრების თავისუფლებით არ არის დაცული იმგვარი შეკრებები, რომლის მონაწილეებსაც ძალადობრივი ზრახვები აქვთ, ძალადობისკენ მოუწოდებენ ან სხვაგვარად უარყოფენ დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს; 2002 წლის საქმეში *Cisse v. France*, სასამართლომ განმარტა, რომ პრაქტიკაში მხოლოდ იმგვარი ღონისძიებები არ დაკვალიფიცირებულა „მშვიდობიან შეკრებად“, რომლის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ ძალადობა (პარ. 37); იხ. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *მეჩარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, პარ. 79.

<sup>19</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 26; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Ezelin v. France*, პარ. 53.

<sup>20</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 17.

<sup>21</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Shmorgunov and Others v. Ukraine*, პარ. 491.

<sup>22</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 15.

<sup>23</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. პარ. 7;

შეკრების კონსტიტუციურ უფლებად ცნობას სწორედ მისი შინაარსი და მიზანი განაპირობებს. ადამიანთა თავყრილობას, რომელიც მოკლებულია იდეას, არ ემსახურება აზრის, ინფორმაციის გაზიარებას ან გავრცელებას, არაფერი აქვს საერთო კონსტიტუციით დაცულ შეკრების უფლებასთან.<sup>24</sup> სწორედ აღნიშნული წარმოშობს ბუნებრივ და არსებით კავშირს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის და მიუხედავად იმისა, რომ შეკრების თავისუფლებას ავტონომიური შინაარსი გააჩნია, მას გამოხატვის თავისუფლების გაგრძელებად აქცევს.<sup>25</sup> ამგვარი მიმართება განსაკუთრებით რელევანტურია მაშინ, როდესაც შეკრების თავისუფლებით დაცულ სფეროში ჩარევას სრულად ან ნაწილობრივ იწვევს მისი მონაწილეების შეხედულებები თუ განცხადებები.<sup>26</sup>

რამდენადაც წინამდებარე საქმეში მშვიდობიანი შეკრების მონაწილის, [REDACTED], ადმინისტრაციული დაკავების გზით, მისი შეკრების თავისუფლების შეზღუდვა განხორციელდა ფურცელზე/პლაკატზე ასახული წარწერის შინაარსის გამო, მნიშვნელოვანია სასამართლომ საქმე განიხილოს გამოხატვის თავისუფლების მარეგულირებელი სტანდარტების გათვალისწინებითაც.<sup>27</sup>

### 3.2. გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფერო

გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების და თითოეული ინდივიდის თვითრეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას და შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თითოეული წევრის ჩართულობას.<sup>29</sup>

საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება და აღიარებულია პირის უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.<sup>30</sup> მსგავს შესაძლებლობას განამტკიცებს აგრეთვე ადამიანის უფლებათა და

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის 2/482,483,487,502 გადაწყვეტილება „საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშვარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 80.

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 3.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Stankov and The United Macedonian Organisation Ilinden v. Bulgaria*, პარ. 85.

<sup>27</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, №37 ზოგადი კომენტარი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების თაობაზე (მუხლი 21), 17 სექტემბერი 2020, პარ. 49.

<sup>28</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *I.A. v. Turkey*, პარ. 23.

<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ. 26.

<sup>30</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 1 და პუნქტი 2.

ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია<sup>31</sup> და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი.<sup>32</sup>

მითითებული მოწესრიგების საფუძველზე, უფლებით დაცულ სფეროში ექცევა აზრის, შეხედულებებისა და ინფორმაციის გავრცელება და მიღება ვერბალური, წერილობითი თუ სხვაგვარი არავერბალური ექსპრესიების მეშვეობით, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის და საზოგადოებრივ მოვლენებზე კომენტარების გზით.<sup>33</sup>

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს იმ საშუალებებსაც, რომლებიც აზრის, ინფორმაციისა და შეხედულებების გამოთქმის, გავრცელებისა და მიღებისთვის არის აუცილებელი.<sup>34</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მითითებით, მსგავს საშუალებებს შორისაა პოსტერები და ბანერები.<sup>35</sup> იდენტურ პოზიციას იზიარებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც, რომელიც ხაზს უსვამს, რომ ამ თვალსაზრისით, ხაზი უნდა გაესვას, რომ ლოზუნგის, ბანერის და პლაკატის მეშვეობით აზრის გამოხატვა უფლებით დაცული არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გავრცელებული ფორმაა; თითოეული მათგანი, შესაძლოა, ატარებდეს კონკრეტულ იდეას, ემსახურებოდეს საზოგადოების ინფორმირებას პოლიტიკური, კულტურული, სოციალური ან სხვა ინტერესის სფეროსთან დაკავშირებით მისი განმთავსებლის პოზიციის შესახებ.<sup>36</sup>

ნიშანდობლივია, რომ გამოხატვის თავისუფლებით დაცულია არა მხოლოდ ის „ინფორმაცია“ და „იდეები“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთებიც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.<sup>37</sup>

### **3.2.1. დამატებითი სამართლებრივი გარანტიები არასრულწლოვანთა გამოხატვის თავისუფლების კრილში**

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-13 მუხლით გარანტირებულია არასრულწლოვნის მონაწილეობისა და გამოხატვის თავისუფლება; კონვენციით გათვალისწინებული რეგულირების თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად

<sup>31</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10.

<sup>32</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19.

<sup>33</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 11. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/3cxa2Sr> > [ბოლოს ნანახია: 05.07.2023]; იხ. ასევე, Dominika Bychawska-Siniarska, Protecting the Right to Freedom of Expression under the European Convention on Human Rights, A handbook for legal practitioners, Council of Europe, July 2017, p. 17, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < <https://bit.ly/2XQec35> > [ბოლოს ნანახია: 05.07.2023].

<sup>34</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“ ლუკა სვერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალავი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II.პარ.56.

<sup>35</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), ზოგადი კომენტარი №34, მუხლი 19, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, 12 სექტემბერი 2011, CCPR/C/GC/34, პარ. 12.

<sup>36</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მჭავანძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. პარ. 7.

<sup>37</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Handyside v. the United Kingdom*, პარ. 49.

გამოხატოს თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციისა და იდეის მოძიების, მიღების და გადაცემის თავისუფლებას საზღვრების მიუხედავად, ზეპირი, წერილობითი ან ბეჭდვითი ფორმით, ხელოვნების ნაწარმოების ფორმით ან ბავშვის არჩევანის შესაბამისად სხვა საშუალებების დახმარებით.<sup>38</sup> კონვენცია ასევე ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის თავისუფლების, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას<sup>39</sup>, რაც თავის მხრივ მოიცავს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მხრიდან აღნიშნულ უფლებათა დაუბრკოლებლად განსახორციელებლად ხელშემწყობ ქმედებათა განხორციელების ვალდებულებას. ამასთან, კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების პროცესში, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.<sup>40</sup>

ბავშვის უფლებათა კოდექსის 78-ე მუხლის განმარტებით, ბავშვთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებასა და სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებაში ბავშვს გარანტირებული აქვს შესაძლებლობა, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოხატოს საკუთარი მოსაზრება. ბავშვს უნდა მიეცეს საკუთარი მოსაზრების მისთვის სასურველი ფორმით გამოხატვის შესაძლებლობა.<sup>41</sup> ამასთან, ბავშვმა მოსაზრება ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა მესამე პირის გავლენის გარეშე უნდა გამოხატოს.<sup>42</sup>

### **3.3. შერებისა და მისი მონაწილეების გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის საფუძვლები და ფარგლები**

შერებისა და გამოხატვის კონსტიტუციით დაცულ უფლებებში ჩარევის მართლზომიერებისთვის არ კმარა, სახეზე იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძველი და ჩარევა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდეს. დამატებით, საჭიროა, შემზღველი ზომის გამოყენება აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>43</sup> იდენტური მიდგომა ასახული ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა<sup>44</sup> და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში.<sup>45</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩარევა იმ შემთხვევაში ჩაითვლება „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, თუ იგი პასუხობს „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“, თანაზომიერია იმ ლეგიტიმური მიზნის, რომლის მისაღწევადაც გამოიყენება და სახელმწიფო ორგანოების მიერ

<sup>38</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 13, პუნქტი 1.

<sup>39</sup> იქვე, მუხლი 14, პუნქტი 1.

<sup>40</sup> იქვე, მუხლი 3, პუნქტი 1.

<sup>41</sup> ბავშვის უფლებათა კოდექსი, მუხლი 78, ნაწილი 2.

<sup>42</sup> იქვე, მუხლი 78, ნაწილი 4.

<sup>43</sup> „შერებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2, ნაწილი 3; საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 5.

<sup>44</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 10, ნაწილი 2 და მუხლი 11, ნაწილი 2.

<sup>45</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 19, ნაწილი 3 და მუხლი 21.



წარმოდგენილია „შესატყვისი და საკმარისი“ საფუძვლები.<sup>46</sup> ამგვარი შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები, დაამყარეს თუ არა პასუხისმგებელმა უწყებებმა გადაწყვეტილება რელევანტური ფაქტების შეფასებას მისაღები ხარისხით.

ბუნებრივია, საჯარო ადგილას ნებისმიერმა შეკრებამ შეიძლება გამოიწვიოს ცხოვრების ჩვეული რიტმის გარკვეული დოზით დარღვევა, თუმცა, ეს ფაქტი თავისთავად არ ამართლებს უფლებაში ჩარევას. შესაბამისად, როდესაც სახეზეა მშვიდობიანი შეკრება, სახელმწიფომ მის მიმართ გარკვეული ხარისხის შემწყნარებლობა უნდა გამოიჩინოს.<sup>47</sup> აჩვენა თუ არა სახელმწიფომ „შემწყნარებლობის სათანადო ხარისხი“, შეუძლებელია, განისაზღვროს *in abstracto*: უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებები, განსაკუთრებით კი, „ცხოვრების ჩვეული რიტმის“ დარღვევის ფარგლები.<sup>48</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია არსებობს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვის შინაარსი შეურაცხყოფს მორალს ან, განსაკუთრებით, რელიგიას.<sup>49</sup> რაც შეეხება გამოხატვის ფორმას, შეურაცხყოფელი ლექსიკა, შესაძლოა, გამოირიცხოს გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროდან, თუ ის უსაფუძვლოა, მაგალითად, როდესაც სადავო განცხადების ერთადერთი მიზანი შეურაცხყოფის მიყენებაა.<sup>50</sup> თუმცა, ვულგარული ფრაზების გამოყენება თავისთავად არ არის გადაწყვეტი შეურაცხყოფელი გამოხატვის შეფასებაში, რადგან ის, შესაძლოა, სტილისტურ მიზანს ემსახურებოდეს, ხოლო სტილი წარმოადგენს კომუნიკაციის ნაწილს და დაცულია უფლებრივი სტანდარტით.<sup>51</sup>

სახელმწიფოს უფლებამოსილება საგრძნობლად მცირდება, როდესაც გამოხატვა პოლიტიკური შინაარსისაა, პოლიტიკოსებს მიემართება<sup>52</sup> ან საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ საკითხს უკავშირდება.<sup>53</sup> აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ დემოკრატიულ სისტემაში, ხელისუფლების ქმედებები უნდა დაექვემდებაროს არა მხოლოდ საკანონმდებლო ან სასამართლო, არამედ საზოგადოებრივი აზრის მხრიდან

<sup>46</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Kudrevičius And Others v. Lithuania*, პარ.143

<sup>47</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Oya Ataman v. Turkey*, პარ. 39-42.

<sup>48</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Primov and Others v. Russia*, პარ. 145.

<sup>49</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Murphy v. Ireland*, პარ. 67-68; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.7.

<sup>50</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, პარ. 37.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Dickinson v. Turkey*, პარ.55; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *Mladina D.D. Ljubljana v. Slovenia*, პარ. 40; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Tuşalp v. Turkey*, პარ. 45.

<sup>53</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ*, პარ. 51; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Ceylan v. Turkey*, პარ. 34

განსჯას.<sup>54</sup> თავის მხრივ, კერძო პირებისგან განსხვავებით, პოლიტიკოსები გარდაუვლად და შეგნებულად აყენებენ თითოეულ მათ სიტყვასა თუ ქმედებას საზოგადოების სამსჯავროს წინაშე, რის გამოც, ვალდებულნი არიან, აჩვენონ შემწყნარებლობის მაღალი ხარისხი მსგავსი კრიტიკის მიმართ.<sup>55</sup>

საგულისხმოა ისიც, რომ, კერძო პირებთან შედარებით, ფართოა დასაშვები კრიტიკის ფარგლებიც იმ მოხელეების მიმართ, რომლებიც საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებენ.<sup>56</sup> ამ ფარგლებში შეიძლება მოექცეს გარვეული ზომაგადასულობაც, განსაკუთრებით, როდესაც ის ასახავს პირის რეაქციას იმასთან დაკავშირებით, რაც აღქმულია, როგორც ადრესატი მოხელის უკანონო ანდა გაუმართლებელი ქმედება.<sup>57</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, შეურაცხმყოფელი გამოხატვის მიმართ პოლიციას განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის შემწყნარებლობა მართებს, თუ ასეთი გამოხატვა არ არის მიმართული მისი თანამშრომლების მიმართ უკანონო ქმედების მყისიერი გამოწვევისკენ და მათ არ აყენებს ფიზიკური ძალადობის რეალური რისკის ქვეშ.<sup>58</sup>

რამდენადაც შეკრებას გამოხატველობითი ფუნქცია გააჩნია, მის პოლიტიკურ გზავნილზე აგრეთვე მომეტებული დაცულობა ვრცელდება.<sup>59</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, შეკრების მონაწილეებისთვის დაწესებული შეზღუდვები მიზნად არ უნდა ისახავდეს, ჩაახშოს პოლიტიკური წინააღმდეგობის გამოხატვა ხელისუფლების მიმართ; ამავდროულად, ისინი არ უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო ორგანოების ან მოხელეების პატივისა და ღირსების შეურაცხყოფის აკრძალვის მიზნით.<sup>60</sup>

საყურადღებოა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის მსჯელობაც იმის თაობაზე, რომ შეკრების დროს გავრცელებულ ვიზუალურ თუ ხმოვან შეტყობინებაზე შეზღუდვები არ უნდა დაწესდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ძალადობის მყისიერი საფრთხე.<sup>61</sup> ამასთან, მათი მითითებით, თავისთავად ხელისუფლების კრიტიკა დაუშვებელია, წარმოადგენდეს უფლებაში ჩარევისთვის საკმარის საფუძველს.<sup>62</sup> იმავეს მოწმობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომაც, რომელიც, შეკრების მიმდინარეობისას, ხელისუფლების წევრის მიმართ კრიტიკული განცხადებების (მათ

<sup>54</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Ceylan v. Turkey*, პარ. 34.

<sup>55</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Lingens v. Austria*, პარ. 42.

<sup>56</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Mamère v. France*, პარ. 27.

<sup>57</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Savva Terentyev v. Russia*, პარ. 75.

<sup>58</sup> იქვე, პარ. 77.

<sup>59</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარ. 32.

<sup>60</sup> იქვე, პარ. 49.

<sup>61</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია): შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 3.3.

<sup>62</sup> იქვე, პარ. 94.

შორის, ისეთისა, რომელსაც საზოგადოების ნაწილი ზედმეტად მკაცრად ან არაადეკვატურად აღიქვამდეს) გაჟღერებას ბუნებრივ პროცესად აღწერს.<sup>63</sup>

მსგავს სტანდარტს ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. კერძოდ, სასამართლოს მიერ განხილული საქმეების ანალიზი გამოკვეთს, რომ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისთვის გამოყენებული ნებისმიერი ღონისძიება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ძალადობისკენ მოწოდება ან დემოკრატიული პრინციპების უარყოფა, რაც უნდა შოკისმომგვრელი, მიუღებელი და არალეგიტიმური იყოს გარკვეული მოსაზრებები ან გამოყენებული სიტყვები სახელმწიფო ორგანოებისთვის, არ ემსახურება დემოკრაციას და საფრთხეშიც კი აგდებს მას.<sup>64</sup>

მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების უფლებაში ჩარევა მათი დაკავების გზით განსაკუთრებით პრობლემურია თანაზომიერების მოთხოვნის ფონზე. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მითითებით, შეკრების მონაწილეთა დაკავება ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი ქმედებების ჩადენის გამო, მკაცრ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების გათვალისწინებით და რადგან შეკრების თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა დროის მიმართ მგრძობიარე მოვლენაა.<sup>65</sup> ამდენად, დაკავება მხოლოდ ყველაზე გადაუდებელ შემთხვევებში უნდა განხორციელდეს, როდესაც ნათელია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული სისხლისსამართლებრივი დანაშაულების ჩადენა მოხდება.<sup>66</sup> ამავდროულად, პირთა განურჩეველი მასობრივი დაკავება შეკრებამდე, მისი მიმდინარეობისას ან მის შემდეგ, თვითნებურ და ამდენად, უკანონო პრაქტიკად ფასდება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ.<sup>67</sup>

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობის ამკრძალავი ნორმის გამოყენების პრობლემურობა მომეტებულად დაცული ტიპის გამოხატვას მიკუთვნებული, თუნდაც შეურაცხყოფელი ენის შემცველი გამონათქვამის შეზღუდვის მიზნით, კარგად წარმოაჩინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებამ „ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“. ამ საქმეში, „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ გამართული შეკრების მონაწილეები სამართალდამცავებმა ბანერებზე განთავსებული შეურაცხყოფელი გამონათქვამის (მომჩივნების ბანერებზე განთავსებული იყო წარწერა: „პანორამა არა, \*\*\*“) გამო დააკავეს. შედეგად, უფლებადარღვევა სწორედ იმის გამო დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, მხოლოდ სადავო სლოგანის ფორმაზე

<sup>63</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ. 106.

<sup>64</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Kudrevičius and Others v. Lithuania*, პარ. 145; იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Stankov and the United Macedonian Organisation Ilinden v. Bulgaria*, პარ. 97.

<sup>65</sup> ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 140.

<sup>66</sup> იქვე.

<sup>67</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, №37 ზოგადი კომენტარი მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების თაობაზე (მუხლი 21), 17 სექტემბერი 2020, პარ. 82.

კონცენტრირებით, მისი ვულგარული ბუნება ზედმეტად განაცალკევებს კონტექსტისა და მიზნისგან, მაშინ, როდესაც ასეთი გამოხატვა სტილისტური ინსტრუმენტი იყო ქალაქში მიმდინარე სამშენებლო პროექტისადმი უკმაყოფილების ძალიან მაღალ ხარისხზე მისათითებლად.<sup>68</sup>

### 3.4. სამართლიანი სასამართლოს უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცულია სამართლიანი სასამართლოს უფლება: სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.<sup>69</sup> ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.<sup>70</sup> არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.<sup>71</sup> დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.<sup>72</sup>

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.<sup>73</sup> ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.<sup>74</sup> ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები: დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით; თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები, გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში.<sup>75</sup>

კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ მხოლოდ უტყუარი მტკიცებულება შეიძლება გახდეს პირის დამნაშავედ ცნობის საფუძველი.<sup>76</sup> უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოიცავს ფაქტისა თუ გარემოების მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე

<sup>68</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *გერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, პარა. 45

<sup>69</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31, პუნქტი 1.

<sup>70</sup> იქვე, პუნქტ. 4.

<sup>71</sup> იქვე, პუნქტ. 6.

<sup>72</sup> იქვე, პუნქტ. 7.

<sup>73</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხ. 6, პუნქტ. 1

<sup>74</sup> იქვე, პუნქტ. 2.

<sup>75</sup> იქვე, პუნქტ. 3, ქვეპუნქტ. „ც“ და „დ“.

<sup>76</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5

დადასტურების მოთხოვნას.<sup>77</sup> ამასთან, მტკიცებულების უტყუარობას - სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს მისი შემოწმების შესაძლებლობა.<sup>78</sup>

კონსტიტუცია განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს - „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე.<sup>79</sup> აღნიშნული ნორმა უკავშირდება, ასევე, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.<sup>80</sup> თავის მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლების ელემენტებს, კონსტიტუციურ გარანტიებს მტკიცების ტვირთის განაწილებასა და მტკიცებულებების ხარისხობრივი მოთხოვნების თაობაზე.<sup>81</sup> უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მოითხოვს, *inter alia*, სასამართლომ მოვალეობების შესრულება არ უნდა დაიწყოს წინასწარი განწყობით, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული; მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს და ნებისმიერი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.<sup>82</sup> უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარიდან დაცვის მხარეზე გადასვლისას.<sup>83</sup>

### 3.5. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვა

საქართველოს კონსტიტუცია სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი ქოლგის ქვეშ სხვადასხვა გარანტიებს მოიაზრებს. მიუხედავად იმისა, რომ მათგან არაერთი ერთნაირად მიემართება როგორც სისხლის, ისე - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალწარმოებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში აღნიშნული გარანტიები არ არის ასახული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. თავის მხრივ, საუკეთესო ინტერესები მოიცავს არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.<sup>84</sup>

<sup>77</sup> იქვე, II-7

<sup>78</sup> იქვე, II-11

<sup>79</sup> იქვე, II-2.

<sup>80</sup> იქვე, II-3

<sup>81</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N27/636 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-32

<sup>82</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Barberá, Messegué and Jabardo v. Spain*, პარ. 77.

<sup>83</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *Telfner v. Austria*, პარ. 15.

<sup>84</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3 (4 ნაწილი).

ზემოაღნიშნული კოდექსის მე-14 მუხლი განამტკიცებს არასრულწლოვნის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის უზრუნველყოფას სამართალწარმოების პროცესში და ადგენს, რომ არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.<sup>85</sup> ამავე კოდექსით გარანტირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა.<sup>86</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-6 მუხლი გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევებზე, რომლისთვის სანქციის სახედ გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.<sup>87</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები სახდელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას.

შესაბამისად, სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას არ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით, რადგან ეს წინააღმდეგობაშია როგორც სახელმწიფოს უზენაეს კანონთან - კონსტიტუციასთან, ისე, კოდექსზე უპირატესი ნორმატიული ძალის მქონე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასთან.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში,<sup>88</sup> წლების განმავლობაში, ფიქსირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას არსებული შემდეგი პრობლემები: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სამართალდამრღვევად ცნობისთვის კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტისა და მტკიცების ტვირთის არარსებობა განაპირობებს პირის სამართალდამრღვევად ცნობას სამართალდარღვევის ოქმის და ამავე ოქმის შემდგენი პოლიციელის ზეპირი განმარტების საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია, დადგენილებები ეყრდნობა მხოლოდ სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმების მონაცემებს და სასამართლო სხდომაზე ოქმის შემდგენი სამართალდამცავი პირის განმარტებას. ყველა მტკიცებულება

<sup>85</sup> იქვე, მუხლი 14, ნაწილი 1.

<sup>86</sup> იქვე, მუხლი 8.

<sup>87</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებები საქმეებზე *Nemtsov v. Russia*, პარ. 82-83; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება *Frumkin v. Russia*, პარ. 155.

<sup>88</sup> იხ. სახალხო დამცველის 2011 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 15-16; 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 448-450; 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 271-277; 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 303-307; 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 462-467; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 114; 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 103-106; 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 157-159; 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 145-146; ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < [bit.ly/3TAP216](http://bit.ly/3TAP216) > [ბოლოს ნანახია: 05.07.2023].

მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ და მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს.

საქართველოს სახალხო დამცველმა გასული წლების ანგარიშებში საქართველოს პარლამენტის მიმართ არაერთხელ გასცა რეკომენდაცია 1984 წელს საბჭოთა მმართველობის პერიოდში მიღებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, როგორც არასრულყოფილი ნორმატიული აქტის შეცვლის, ახალი კოდექსის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობის თაობაზე.<sup>89</sup>

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მრავალწლიანი შესწავლის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის სარჩელზე წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება,<sup>90</sup> რადგან სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ სისხლისსამართლებრივი ბუნების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები) საქმეებზე სამართალწარმოების პროცესში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებები არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას: არ უზრუნველყოფს უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, არ აკისრებს ოქმის შემდგენ ორგანოს/პირს მტკიცების ტვირთს, სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

ამასთან, უმნიშვნელოვანესია საქმის განხილვის დროს სასამართლომ გაითვალისწინოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის კონსტიტუციურობის საკითხზე.<sup>91</sup> მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ საერთო სასამართლოები არ იკვლევენ სამართალდამცავი ორგანოს განკარგულების/მოთხოვნის კანონიერებას.<sup>92</sup> სასამართლომ განმარტა, რომ არც ნორმის ტექსტი და არც მოსარჩელის წარდგენილი სასამართლო პრაქტიკა არ ადასტურებს სადავო ნორმის გასაჩივრებული ნორმატიული შინაარსით გამოყენების შესაძლებლობას.<sup>93</sup> საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით განსაზღვრული შემადგენლობა არაორაზროვნად მიუთითებს და *expressis verbis* დასჯადად აცხადებს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ განკარგულებისა და მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, რომელიც კანონიერია. საერთო სასამართლოები

<sup>89</sup> იხ. 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 281; 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 404; 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 469; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 117; 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 109; 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 161; 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 147; 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 118.

<sup>90</sup> საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (კონსტიტუციური სარჩელი N1361), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3JyeaEx > [ბოლოს ნანახია: 05.07.2023]

<sup>91</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2022 წლის 23 დეკემბრის N2/14/1730 განჩინება საქმეზე „ნატალია ფერაძე და კონსტანტინე გურული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3Z2DuYG > [ბოლოს ნანახია: 05.07.2023].

<sup>92</sup> იქვე, II-3

<sup>93</sup> იქვე, II-9

ვალდებულნი არიან, პირის სამართალდამრღვევად ცნობამდე, შეისწავლონ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ მოთხოვნისა თუ განკარგულების კანონიერება, რომლის დაუმორჩილებლობისათვის, პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება.<sup>94</sup>

### *3.6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი*

სასამართლოს მეგობრის მოსაზრების ამ ნაწილში წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განხილულ მსგავს საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანი იქნება მოცემული საქმის განხილვის დროს. ბუნებრივია, ევროპული სასამართლოს განმარტებები და დადგენილი სტანდარტები საყურადღებოა ეროვნული სასამართლოსთვისაც. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეკრება-მანიფესტაციისა და დაკავებული პირების არაერთ საქმეზე დაადგინა შეკრების თავისუფლების, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, ხოლო დაკავება უკანონოდ ან თვითნებურად შეაფასა:

- **Nemtsov-ის საქმეზე<sup>95</sup>** კონვენციის მე-5, მე-6 და მე-11 მუხლების დარღვევა დადგინდა განმცხადებლის საპროტესტო აქციაზე პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისთვის დაუმორჩილებლობისთვის დაკავების, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობისა და პატიმრობის შეფარდების გამო:

**კონვენციის მე-11 მუხლის<sup>96</sup> დარღვევა:** განმცხადებლის დაკავებისა და მის წინააღმდეგ ადმინისტრაციული ბრალდების სამართლებრივი საფუძველი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა, რომელიც აწესებდა სახდელს პოლიციელის კანონიერი ბრძანებების დაუმორჩილებლობისთვის. სახელმწიფოს არ დაუდასტურებია მომჩივნის მიერ პოლიციისგან რაიმე ბრძანების მიღება, მისი კანონიერება ან მისდამი დაუმორჩილებლობა. პირიქით, განმცხადებელი მივიდა პოლიციის კორდონთან და დააკავეს მას შემდეგ, რაც ყვიროდა, რომ კონსტიტუციით გარანტირებული იყო შეკრების თავისუფლება. შესაბამისად, განმცხადებლის მშვიდობიანი შეკრების უფლებაში ჩარევა ასეთი სამართლებრივი საფუძველით შეიძლება დახასიათდეს მხოლოდ როგორც თვითნებური და უკანონო.<sup>97</sup> ასევე, არ დადასტურდა პოლიციის მიერ განმცხადებლისთვის დაბრალებული ქმედებები: სპონტანური დემონსტრაციისკენ მოწოდების მცდელობა და ანტისამთავრობო ლოზუნგების სკანდირება, რაც თავისთავად დაცულია კონვენციით. ადმინისტრაციულმა სამართალწარმოებამ და პატიმრობამ განმცხადებელს ხელი შეუშალა საპროტესტო აქციებში ან ოპოზიციურ პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობაში.<sup>98</sup> გარდა ამისა, ხსენებულ ზომებს გააჩნდა სერიოზული პოტენციალი ოპოზიციის მხარდამჭერებსა და ფართო საზოგადოებას დემონსტრაციებზე დასწრებისგან და ღია პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობისგან თავი შეეკავებინათ. მითუმეტეს, განმცხადებლის დაკავება აუცილებლად მედიით ფართოდ გაშუქდებოდა. განმცხადებლის დაკავება, მის

<sup>94</sup> იქვე, II-5

<sup>95</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Nemtsov v. Russia*.

<sup>96</sup> იქვე, პარ. 80.

<sup>97</sup> იქვე, პარ. 76.

<sup>98</sup> იქვე, პარ. 77.



წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება და მშვიდობიანი შეკრების უფლებაში ჩარევა არ იყო გამართლებული.<sup>99</sup>

**კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის<sup>100</sup> დარღვევა:** ეროვნულმა სასამართლოებმა მხოლოდ ორი პოლიციელის ჩვენება გაითვალისწინეს დაცვის ყველა მოწმის ჩვენებების უგულვებელყოფის ფონზე;<sup>101</sup> ასევე, დაცვის მხარის წარდგენილი საკმარისი და თანმიმდევრული მტკიცებულებები უარყვეს იმ მიზეზით, რომ იმავე დემონსტრაციაში მონაწილე მოწმეები მიკერძოებულნი იყვნენ განმცხადებლის მიმართ. ამ საფუძველზე მითითებით, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები ნებისმიერ პოტენციურ თვითმხილველის ჩვენებას, ინდივიდუალური სიტუაციისა და დამოკიდებულების განურჩევლად უგულვებელყოფდნენ.<sup>102</sup> განმცხადებლის სავარაუდო სამართალდარღვევაში ხსენებული პოლიციელების როლის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეროვნული სასამართლოების მიერ მათი, როგორც ნეიტრალური დამკვირვებლების აღქმა, არ არსებობდა მათი ჩვენებებისთვის უფრო ძლიერი მტკიცებულებითი ღირებულების მინიჭების საფუძველი.<sup>103</sup> განმცხადებლის სასარგებლო ყველა მტკიცებულების უარყოფით, ეროვნულმა სასამართლოებმა მტკიცების შეუძლებელი ტვირთი დააკისრეს განმცხადებელს, რის გამოც წარმატების უმცირესი პერსპექტივაც არ ჰქონდა, რაც „in dubio pro reo“-ს პრინციპს ეწინააღმდეგებოდა.<sup>104</sup> ეროვნული სასამართლოები განმცხადებლის სავარაუდო დაუმორჩილებლობით შემოიფარგლნენ და არ განიხილეს პოლიციის ბრძანების „კანონიერება“. ამგვარად, მათ გაათავისუფლეს პოლიცია განმცხადებლის შეკრების უფლებაში ჩარევის გამართლებისგან და დააწესეს სანქციები მომჩივანზე იმ ქმედებებისთვის, რომლებიც რეალურად რომ მომხდარიყო, დაცული იქნებოდა კონვენციით.<sup>105</sup>

**კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის<sup>106</sup> დარღვევა:** მომჩივანის მიმართ გამოყენებული ღონისძიება - დაკავება და მოკლევადიანი პატიმრობა თვითნებური და უკანონო იყო, თავისუფლების აღკვეთის გამამართლებელი ფორმალური საფუძველებით დადგენილ მიზანს არ ემსახურებოდა და მოიცავდა პოლიციელების არაკეთილსინდისიერების ელემენტს. გარდა ამისა, ეროვნული სასამართლოები, რომლებმაც მომჩივანს შეუფარდეს ადმინისტრაციული პატიმრობა თვითნებურად მოქმედებდნენ პატიმრობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის განხილვისას. შესაბამისად, განმცხადებლის თავისუფლების აღკვეთა მთლიანობაში იყო თვითნებური.<sup>107</sup>

<sup>99</sup> იქვე, პარ. 78-79.

<sup>100</sup> იქვე, პარ. 94.

<sup>101</sup> იქვე, პარ. 90.

<sup>102</sup> იქვე, პარ. 91.

<sup>103</sup> იქვე, პარ. 70.

<sup>104</sup> იქვე, პარ. 92.

<sup>105</sup> იქვე, პარ. 93.

<sup>106</sup> პარ. 104

<sup>107</sup> პარ. 103

- **Navalnyy-ის და Yashin-ის საქმეზე**<sup>108</sup>, სადაც განმცხადებლები დემონსტრაციაზე დააკავეს, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნეს პოლიციის კანონიერი ბრძანების დაუმორჩილებლობის გამო (არ შეაჩერეს მარში მითითებების შესაბამისად) და 15-დღიანი პატიმრობა დააკისრეს, დადგინდა მე-5, მე-6 და მე-11 მუხლების დარღვევები:

**მე-11 მუხლის**<sup>109</sup> **დარღვევა:** მომჩივნების მიმართ გამოყენებული ზომები არ იყო პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მომჩივნები დაისაჯნენ სპონტანური მშვიდობიანი დემონსტრაციის გამართვის და ანტისამთავრობო ლოზუნგებისთვის, რა ქმედებებიც დაცულია კონვენციის მე-10-11 მუხლებით.<sup>110</sup> მარშის დაშლა, მომჩივნების დაკავება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ იყო გამართლებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჭიროებით და არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>111</sup> სასამართლომ მიუთითა მომჩივნების მიმართ გამოყენებული ზომების ეფექტზე საზოგადოების მიერ დემონსტრაციებში მონაწილეობისგან თავის შეკავების თვალსაზრისით.<sup>112</sup>

**მე-6 მუხლის პირველი პუნქტის**<sup>113</sup> **დარღვევა:** ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა ექსკლუზიურად პოლიციის მიერ წარმოდგენილ ვერსიას. მათ უარი განაცხადეს ვიდეო ჩანაწერების მიღებასა და სხვა მოწმეების გამოძახებაზე, როდესაც განმცხადებლები ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ პოლიციას, მათ დაკავებამდე, ბრძანება არ გაუცია. ბრალდების მხარის ერთადერთი მოწმეები იყვნენ პოლიციელები, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებდნენ სადავო მოვლენებში. შესაბამისად, აუცილებელი იყო მათი დამადასტურებელი განცხადებების გადამოწმების ყველა გონივრული შესაძლებლობის ამოწურვა. ამის შეუსრულებლობა ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს - *in dubio pro reo*.<sup>114</sup> ეროვნული სასამართლოები, საქმის განხილვისას, შემოიფარგლნენ მომჩივნების სავარაუდო დაუმორჩილებლობის საკითხით, არ განიხილეს პოლიციის ბრძანების „კანონიერება“ და პოლიციელების ჯვარედინი დაკითხვისას, არ დაუსვეს შესაბამისი კითხვები. მომჩივნებს სანქციები დაუწესეს კონვენციით დაცული ქმედებებისთვის, პოლიციის მიერ განმცხადებლების შეკრების უფლებაში ჩარევის გამართლების გარეშე, მხარეთა თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ.<sup>115</sup> განმცხადებლების წინააღმდეგ განხილული ადმინისტრაციული სამართალწარმოება, მთლიანობაში, ჩატარდა სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევით.<sup>116</sup>

<sup>108</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Navalnyy and Yashin v. Russia*.

<sup>109</sup> იქვე, პარ. 75.

<sup>110</sup> იქვე, პარ. 73.

<sup>111</sup> იქვე, პარ. 75.

<sup>112</sup> იქვე, პარ. 74.

<sup>113</sup> იქვე, პარ. 85.

<sup>114</sup> იქვე, პარ. 83.

<sup>115</sup> იქვე, პარ. 84.

<sup>116</sup> იქვე, პარ. 85.

**მე-5 მუხლის პირველი პუნქტის<sup>117</sup> დარღვევა:** განმცხადებლების პოლიციის განყოფილებაში გადაყვანა არ იყო მკაცრად აუცილებელი.<sup>118</sup> დაკავების შემდეგ განმცხადებლები ზედიზედ გადაიყვანეს პოლიციის 3 განყოფილებაში და მხოლოდ მესამე განყოფილებაში შედგა ოქმი.<sup>119</sup> დაკავებულთა გადაყვანები თითქმის 6 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა ყოველგვარი ჩანაწერის არსებობის და ამ დროის დაკავების ვადაში ჩათვლის გარეშე.<sup>120</sup> პოლიციის განყოფილებაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შემდეგ, მომჩივანთა გათავისუფლების ნაცვლად, დაკავება გაგრძელდა სასამართლოში წარდგენამდე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ, 48 საათიან ვადაში. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. ევროპული სასამართლოს პოზიციით, არ არსებობდა ვარაუდის საფუძველი, რომ განმცხადებლები თავს აარიდებდნენ ან სხვაგვარად შეაფერხებდნენ მართლმსაჯულებას. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელისუფლებას ევალებოდა ასეთი საფრთხის დემონსტრირება. მომჩივნების გათავისუფლების საწინააღმდეგოდ რაიმე აშკარა მიზეზის არარსებობის გამო, პოლიციის განყოფილებაში მათი დაკავება გაუმართლებელი და თვითნებური იყო.<sup>121</sup> საბოლოოდ, მომჩივნების დაკავება შეფასდა უკანონოდ და თვითნებურად; ადგილი ჰქონდა განმცხადებლების თავისუფლების უფლების დარღვევას პოლიციის განყოფილებაში მათი გაუმართლებელი გადაყვანის, ბადრაგირებისას 6 საათის დაკავების ვადაში დაუფიქსირებელი დროის და შემდეგ პოლიციის განყოფილებაში საფუძვლის გარეშე დაკავების გამო.<sup>122</sup>

➤ **Frumkin-ის საქმეზე<sup>123</sup>** განმცხადებელი დააკავეს, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა პოლიციელის კანონიერი ბრძანების დაუმორჩილებლობის გამო და დადგინდა კონვენციის მე-5, მე-6 და 11 მუხლების დარღვევები:

**მე-11 მუხლის დარღვევა:** დადგინდა სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის (ვერ უზრუნველყო მშვიდობიანი შეკრების ჩატარება)<sup>124</sup> და განმცხადებლის დაკავების, პატიმრობის და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების<sup>125</sup> გამო. შეკრების ადგილის შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე სიტუაცია მშვიდი იყო მთელი პერიოდის განმავლობაში, ამ პერიმეტრის გარეთ არეულობის დროსაც კი.<sup>126</sup> განმცხადებელი დარჩა შეკრების ჩატარების ადგილას და მისი ქცევა მკაცრად მშვიდობიანი იყო, არ ჩანდა მისი მხრიდან თუნდაც „პასიური წინააღმდეგობის“ გამოვლენაც.<sup>127</sup> მომჩივანის მიმართ მე-11 მუხლის გარანტიები კვლავ მოქმედებდა შეკრების

<sup>117</sup> იქვე, პარ. 98

<sup>118</sup> იქვე, პარ. 93

<sup>119</sup> იქვე, პარ. 94

<sup>120</sup> იქვე, პარ. 95

<sup>121</sup> იქვე, პარ. 96

<sup>122</sup> იქვე, პარ. 97

<sup>123</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Frumkin v. Russia*.

<sup>124</sup> იქვე, პარ. 130.

<sup>125</sup> იქვე, პარ. 142.

<sup>126</sup> იქვე, პარ. 135.

<sup>127</sup> იქვე, პარ. 137.

ოფიციალურად შეწყვეტის შემდეგაც, მიუხედავად სხვა ადგილზე შეტაკებებისა.<sup>128</sup> განმცხადებელი დააკავეს და 15-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა მოძრაობის შეფერხების და მისი შეწყვეტის შესახებ პოლიციის კანონიერი ბრძანების დაუმორჩილებლობის გამო.<sup>129</sup> განმცხადებლის წინააღმდეგ გამოყენებული ზომების სიმკაცრე სრულიად დაუსაბუთებელია. გზაზე სიარულისა და მოძრაობის შეფერხების მოტივები შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებით აუხსნელი რჩება; არ იყო გამორიცხული განმცხადებლის ახსნა, რომ არ იყო მოძრაობა და საერთო დაბნეულობაში ვერ შეძლო ადგილის სწრაფად დატოვება. თუნდაც ვივარაუდოთ, რომ განმცხადებლის დაკავება, პატიმრობა და ადმინისტრაციული სახდელი შეესაბამებოდა შიდა კანონმდებლობას და ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს - სავარაუდოდ, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მის მიმართ მიღებული ზომები იყო უხეშად არაპროპორციული. არ არსებობდა მომჩივნის დაკავების, პოლიციის განყოფილებაში მიყვანის და განსაკუთრებით, თავისუფლების თუნდაც ხანმოკლე აღკვეთის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება“.<sup>130</sup> ეჭვგარეშეა, რომ ამ ზომებს გააჩნდა სერიოზული პოტენციალი, ოპოზიციის მხარდამჭერებსა და ფართო საზოგადოებას დემონსტრაციებზე დასწრებისგან და ღია პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობისგან თავი შეეკავებინათ. სანქციების ეფექტი კიდევ უფრო გაძლიერდა იმ დღეს განხორციელებული დაკავების დიდი რაოდენობით, რასაც ფართო მედია გაშუქება მოჰყვა.<sup>131</sup>

**მე-5 მუხლის პირველი პუნქტის<sup>132</sup> დარღვევა:** ადმინისტრაციული დაკავების ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს, რაც მიუთითებს კანონის შესაბამისად სამართალდარღვევის ოქმის შედგენისთვის გონივრულ და საკმარის პერიოდად მიჩნევაზე. ოქმის შედგენისთანავე პოლიციის განყოფილებაში მიყვანის მიზანი მიღწეული იყო და განმცხადებლის გათავისუფლება შეიძლებოდა.<sup>133</sup> თუმცა, განმცხადებელი არ გაათავისუფლეს და სასამართლოში საქმის განხილვაზე დასწრების უზრუნველსაყოფად დაკავების ვადა გაუგრძელეს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 27.5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული 48-საათიანი ვადის ფარგლებში. სახელმწიფოს არ დაუსაბუთებია, რომ ეს იყო „გამონაკლისი შემთხვევა“ ან „აუცილებელი სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროული და სათანადო გამოკვლევისთვის“. განმცხადებლის გათავისუფლებაზე უარის რაიმე მკაფიო მიზეზი არ არსებობდა და მისი 36-საათიანი დაკავება სასამართლო პროცესამდე იყო გაუმართლებელი და თვითნებური;<sup>134</sup> დაირღვა განმცხადებლის თავისუფლების უფლება სასამართლო განხილვის მოლოდინში მისი დაკავების მიზეზების და სამართლებრივი საფუძვლების არასებობის გამო.<sup>135</sup>

<sup>128</sup> იქვე, პარ. 138.

<sup>129</sup> იქვე, პარ. 139.

<sup>130</sup> იქვე, პარ. 140.

<sup>131</sup> იქვე, პარ. 141.

<sup>132</sup> იქვე, პარ. 152.

<sup>133</sup> იქვე, პარ. 149.

<sup>134</sup> იქვე, პარ. 150.

<sup>135</sup> იქვე, პარ. 151.

მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევა: ეროვნული სასამართლოები პოლიციის კანონიერი ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობისთვის განმცხადებლის პასუხისმგებლობის თაობაზე გადაწყვეტილებას აყრდნობდნენ ექსკლუზიურად პოლიციელების მიერ წარდგენილ სტანდარტულ წერილობით დოკუმენტებს. ამის საპირისპიროდ, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დააკავეს შეკრების დროს და იქ არ იყო მოძრაობა, რომლის შეფერხებაც მას შეეძლო. აღნიშნული 3 თვითმხილველმა დაადასტურა. ეროვნულმა სასამართლოებმა უარყვეს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ვიდეო ჩანაწერი და უარი თქვეს ორი პოლიციელის მოწმის სახით დაკითხვაზე.<sup>136</sup> ბრალდების საკვანძო ფაქტებზე დავის გათვალისწინებით, სადაც განმცხადებლის წინააღმდეგ ერთადერთი მტკიცებულება შექმნილი იყო პოლიციელებისგან, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებდნენ სადავო მოვლენებში, აუცილებელი იყო ეროვნული სასამართლოებისთვის ყოველგვარი გონივრული შესაძლებლობის ამოწურვა მათი დამადასაშაულებელი განცხადებების შესწავლისთვის.<sup>137</sup> ეროვნული სასამართლოები განმცხადებლის სავარაუდო დაუმორჩილებლობით შემოიფარგლნენ და არ განიხილეს პოლიციის ბრძანების „კანონიერება“; მათ დასაჯეს განმცხადებელი კონვენციით დაცული ქმედებებისთვის პოლიციისგან მოთხოვნის გარეშე, გაემართლებინა შეკრების უფლებაში ჩარევა, რაც მოიცავდა ასეთი ბრძანების გაცემისას, დაშლის გონივრულ შესაძლებლობას. ამის შეუსრულებლობა ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპს - *in dubio pro reo*, რომელიც გამოიყენებოდა განმცხადებლის წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე და რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის მნიშვნელობით მოიცავდა სისხლისსამართლებრივ ბრალდებას.<sup>138</sup> შესაბამისად, განმცხადებლის წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოება მთლიანობაში ჩატარდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევით.<sup>139</sup>

- **Kasparov**-ის და სხვების საქმეზე,<sup>140</sup> სადაც ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა ჯგუფის ორგანიზებულ საპროტესტო აქციაზე დააკავეს, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრათ პოლიციის კანონიერი ბრძანებისათვის დაუმორჩილებლობისა და საჯარო ღონისძიების წესის დარღვევისთვის, შეეფარდათ 5-დღიანი პატიმრობა, დადგინდა ორივე განმცხადებლის მიმართ კონვენციის მე-11 და მე-6 მუხლების, ხოლო მეორე განმცხადებლის მიმართ - მე-5 მუხლის დარღვევა:

**მე-11 მუხლის<sup>141</sup> დარღვევა:** ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხსენებული საქმე რუსეთის წინააღმდეგ განხილული სხვა საქმეების იდენტურია, სადაც დარღვევა დადგინდა პოლიციის მიერ აქციის მონაწილეების დაკავების გამო დემონსტრაციის ნებართვის არქონის გამო და ადმინისტრაციული ბრალდებების მთავარი საფუძველი

<sup>136</sup> იქვე, პარ. 164.

<sup>137</sup> იქვე, პარ. 163-165.

<sup>138</sup> იქვე, პარ. 166.

<sup>139</sup> იქვე, პარ. 167.

<sup>140</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Kasparov and Others v. Russia* (no. 2).

<sup>141</sup> იქვე, პარ. 33.

სწორედ დემონსტრაციის ფორმალური უკანონობა იყო.<sup>142</sup> მოცემულ საქმეში მსვლელობა და მომჩივნების ქცევაც მშვიდობიანი იყო. თუმცა, მარში დაარბიეს, მომჩივნები დააკავეს და შეეფარდათ 5-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შეფასების გარეშე, მხოლოდ იმიტომ, რომ მსვლელობას მართავდნენ ნებართვის გარეშე და, სავარაუდოდ, უგულვებლყოფდნენ პოლიციის ბრძანებებს გაჩერების შესახებ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ მომჩივნების დაკავება და ადმინისტრაციული სახდელი შეესაბამებოდა შიდა კანონმდებლობას და ემსახურებოდა კონვენციის ლეგიტიმურ მიზანს - სავარაუდოდ, არეულობის პრევენციას - სახელმწიფომ ვერ შეძლო იმის დემონსტრირება, რომ არსებობდა მსვლელობის შეწყვეტის, მომჩივნების დაკავების და თავისუფლების თუნდაც ხანმოკლე აღკვეთის „გადაუღებელი საზოგადოებრივი საჭიროება“.<sup>143</sup> ამ საქმეშიც, სასამართლომ ხაზი გაუსვა მომჩივანთა მიმართ გამოყენებული ზომების ეფექტს საზოგადოებაზე, თავი შეეკავებინათ დემონსტრაციებში მონაწილეობისგან, მით უმეტეს, პირველი განმცხადებელი ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო და აუცილებლად მოხდებოდა მასმედიით ფართოდ გაშუქება.<sup>144</sup>

**მე-5 მუხლის პირველი პუნქტის<sup>145</sup> დარღვევა:** დადგინდა მე-2 განმცხადებლის მიმართ, რადგან სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე დასაბუთება მისი 48-საათიანი ვადით დაკავების თაობაზე, როგორც ამას კანონი მოითხოვდა, რომ ეს იყო „გამონაკლისი შემთხვევა“ ან „აუცილებელი ადმინისტრაციული საქმის დროული და სათანადო განხილვისთვის და ნებისმიერი დაკისრებული სასჯელის აღსრულების უზრუნველსაყოფად“. შესაბამისად, 3 საათზე მეტხანს მისი დაკავების რაიმე აშკარა მიზეზის არსებობის გარეშე იყო უკანონო.<sup>146</sup>

**მე-6 მუხლის პირველი პუნქტის<sup>147</sup> დარღვევა:** ეროვნულმა სასამართლოებმა გადაწყვეტილებები დააფუძნეს ექსკლუზიურად პოლიციის წარმოდგენილ მოვლენათა ვერსიას და უარი თქვეს ვიდეო ჩანაწერების მიღებასა და სხვა მოწმეების გამოძახებაზე, ამისთვის რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზების არსებობის გარეშე.<sup>148</sup> ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ რუსეთის წინააღმდეგ განხილულ მსგავს საქმეებზე *in dubio pro reo* პრინციპის საწინააღმდეგოდ შეფასდა ეროვნული სასამართლოების მიერ ყველა გონივრული შესაძლებლობის გამოუყენებლობა, შემოწმებინათ ბრალდების მხარის ერთადერთი მტკიცებულების - მოწმე პოლიციელების ჩვენებები, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებდნენ სადავო მოვლენებში.<sup>149</sup> მოცემულ საქმეშიც, მომჩივნების სამართალწარმოება ჩატარდა ფაქტობრივად იდენტურად, მათ არ მიეცათ საშუალება, მიეღოთ რაიმე მტკიცებულება მოვლენების მათი ვერსიის მხარდასაჭერად. ეროვნულმა სასამართლოებმა არ მოსთხოვეს პოლიციას, გაემართლებინა განმცხადებლების შეკრების უფლებაში ჩარევა, რაც მოიცავდა გონივრულ შესაძლებლობას დაშლილიყვნენ ასეთი

<sup>142</sup> იქვე, პარ. 30.

<sup>143</sup> იქვე, პარ. 31.

<sup>144</sup> იქვე, პარ. 32.

<sup>145</sup> იქვე, პარ. 41.

<sup>146</sup> იქვე, პარ. 40.

<sup>147</sup> იქვე, პარ. 50.

<sup>148</sup> იქვე, პარ. 47.

<sup>149</sup> იქვე, პარ. 48.

ბრძანების გაცემისას.<sup>150</sup> განმცხადებლების წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოება, მთლიანობაში, ჩატარდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევით.

➤ **Navalnyy და Gunko-ს საქმეზე<sup>151</sup>**, სადაც შეკრების დროს დააკავეს და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრეს პოლიციის კანონიერი ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, შეუფარდეს ჯარიმა და 1-დღიანი პატიმრობა, დადგინდა ორივე განმცხადებლის მიმართ კონვენციის მე-11 მუხლის, მე-5 და მე-6 მუხლების, ხოლო პირველი განმცხადებლის მიმართ - მე-3 მუხლის დარღვევა:

**მე-5 მუხლის პირველი პუნქტის<sup>152</sup> დარღვევა:** მომჩივნები დააკავეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ოქმების შედგენის შემდეგ, ეს მიზანი მიღწეული იყო, ისინი არ გაათავისუფლეს და განყოფილებაში დააკავეს დაახლოებით 18 და 20 საათის განმავლობაში, სასამართლო განხილვამდე. მთავრობის მტკიცებით, მოცემული პერიოდი შედიოდა დაკავების 48-საათიან ვადაში, თუმცა ხელისუფლებას არ წარმოუდგენია დასაბუთება, რომ ეს იყო „გამონაკლისი შემთხვევა“ ან „აუცილებელი იყო ადმინისტრაციული საქმის დროული და სათანადო განხილვისთვის და დაკისრებული სასჯელის აღსრულების უზრუნველსაყოფად“. განმცხადებლების არგათავისუფლება რაიმე მიზეზის არარსებობის მიუხედავად და მათი დაკავება 18 და 20 საათის განმავლობაში იყო გაუმართლებელი და თვითნებური.<sup>153</sup>

**მე-6 მუხლის პირველი პუნქტის<sup>154</sup> დარღვევა:** ეროვნული სასამართლოების მიერ პირველი განმცხადებლის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობა პოლიციის კანონიერი ბრძანებების დაუმორჩილებლობისთვის ეფუძნებოდა ექსკლუზიურად პოლიციელების წარმოდგენილ სტანდარტულ, შაბლონური ხასიათის დოკუმენტებს. განმცხადებლის წინააღმდეგ არსებული მთავარი მტკიცებულება - პოლიციელების წერილობითი განცხადებები და ჩანაწერები, არ შემოწმდა სასამართლო პროცესზე. სასამართლოებმა უარი თქვეს ორი პოლიციელის მოწმის სახით დაკითხვაზე; განმცხადებლის წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი შესწავლის შედეგად უარყვეს (ჩანაწერზე თარიღის მიუთითებლობის გამო) და მიიჩნიეს, რომ მასზე ფიქსირდებოდა დაუმორჩილებლობა, როდესაც პოლიციელებმა განმცხადებელი არ აუშვეს სცენაზე.<sup>155</sup> აუცილებელი იყო, ეროვნულ სასამართლოებს გამოეყენებინათ ყველა გონივრული შესაძლებლობა, გადაემოწმებინათ ერთადერთი მტკიცებულება - სადავო მოვლენებში აქტიური როლის მქონე პოლიციელების დამადანაშაულებელი ჩვენებები. ამის შეუსრულებლობა ეწინააღმდეგება in dubio pro reo-ს პრინციპს. ეროვნული სასამართლოები არ მოითხოვდნენ

<sup>150</sup> იქვე, პარ. 49.

<sup>151</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2020 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Navalnyy and Gunko v. Russia*.

<sup>152</sup> იქვე, პარ. 58

<sup>153</sup> იქვე, პარ. 55-57

<sup>154</sup> იქვე, პარ. 70.

<sup>155</sup> იქვე, პარ. 65-67.

პოლიციისგან შეკრების უფლებაში ჩარევის დასაბუთებას, რაც მოიცავდა დაშლის გონივრულ შესაძლებლობას ბრძანების გაცემისას.<sup>156</sup> ანალოგიურად, მეორე განმცხადებლის საქმეშიც, ეროვნულმა სასამართლოებმა გადაწყვეტილება დააფუძნეს ექსკლუზიურად პოლიციის წარდგენილ სტანდარტულ დოკუმენტებს და უარი განაცხადეს განმცხადებლის ახსნა-განმარტების გადამოწმებაზე, რომ არ იყო მოძრაობა, ტერიტორია კვლავ შემოსაზღვრული იყო პოლიციის მიერ და ვერ ტოვებდა ადგილს. უფრო მეტიც, სასამართლოები შემოიფარგლნენ მხოლოდ განმცხადებლის სავარაუდო დაუმორჩილებლობის საკითხის დადგენით, რადგან არ განიხილეს პოლიციის ბრძანების „კანონიერება“.<sup>157</sup> შესაბამისად, განმცხადებლების წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოება, მთლიანობაში, ჩატარდა სამართლიანი მოსმენის უფლების დარღვევით.

**მე-11 მუხლის<sup>158</sup> დარღვევა:** არცერთ ორგანოს არ შეუსწავლია შეკრების შეწყვეტის კანონიერების საკითხი. პირველი განმცხადებლის მიმართ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს ძირითადი ფაქტები, კერძოდ, მიიღო თუ არა მან პოლიციისგან რაიმე ბრძანება დაკავებამდე. მას შეკრებილი საზოგადოებისთვის უნდა მიემართა, როცა პოლიციამ ხელი შეუშალა სცენაზე ასვლაში და დააკავა. დამსწრეთა უმეტესობამ არ იცოდა შეკრების ვადამდე შეწყვეტის ან დაშლის ოფიციალური ბრძანების შესახებ. შესაბამისად, არ დგინდება, რომ მან მიიღო ბრძანება. ეროვნული სასამართლოების ვალდებულება იყო, დაედგინათ ეს არსებითი ელემენტები, რათა გაემართლებინათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა. თუნდაც იმ დაშვებით, რომ პირველი განმცხადებლის დაკავება და სახდელი ჯარიმის სახით შეესაბამებოდა ეროვნულ კანონმდებლობას და ლეგიტიმურ მიზანს – სავარაუდოდ, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფომ ვერ შეძლო დადასტურება, რომ ეს ზომები შეესაბამებოდა „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“ და იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.<sup>159</sup> მეორე განმცხადებლის განმარტებით, მონაწილეობდა ნებადართულ შეკრებაში და აპირებდა სახლში წასვლას მისი დასრულების შემდეგ, რაც ვერ შეძლო ბევრი ხალხის არსებობის და ტერიტორიის შემოსაზღვრის გამო. თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს მისი ახსნა-განმარტებები და გაიზიარეს პოლიციის შედგენილი შაბლონური ხასიათის დოკუმენტები მოვლენების შემდგომი შესწავლის გარეშე. გარდა ამისა, ეროვნული სასამართლოების დასკვნები ურთიერთგამომრიცხავია, კერძოდ, დაადგინეს, რომ მეორე განმცხადებელმა შეაფერხა მოძრაობა და ამავე დროს აღნიშნეს, რომ ტერიტორია გადაკეტილი იყო. მეორე განმცხადებლის წინააღმდეგ მიღებული ზომები არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.<sup>160</sup>

➤ უახლეს გადაწყვეტილებაში **მაქარაშვილის** და **სხვების საქმეზე**<sup>161</sup>, მე-2 განმცხადებელი ირაკლი კაჭარავა, დააკავეს ადმინისტრაციულ

<sup>156</sup> იქვე, პარ. 68.

<sup>157</sup> იქვე, პარ. 69.

<sup>158</sup> იქვე, პარ. 89 და 93.

<sup>159</sup> იქვე, პარ. 86-87.

<sup>160</sup> იქვე, პარ. 91-92.

<sup>161</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე **მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ**.



სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით, რადგან, სამართალდამცავთა მითითებით, იგი პარლამენტის შენობის გვერდით, იგინებოდა, იყო აქციის მონაწილე და ბოროტი განზრახვით არ ემორჩილებოდა პოლიციელების კანონიერ მოთხოვნებს.<sup>162</sup> სასამართლომ სამართალდამრღვევად ცნო პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისთვის და დაადგინა, რომ წვრილმანი ხულიგნობა არ ჩაუდენია.<sup>163</sup> სახდელის სახით, მას 4-დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.<sup>164</sup> სააპელაციო სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო.<sup>165</sup> ევროპულმა სასამართლომ მე-2 მომჩივანის მიმართ დაადგინა კონვენციის მე-6 და მე-11 მუხლების დარღვევა:

**მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა:** არსებობდა კავშირი ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს სასამართლოში პროკურორის არ ყოფნის თაობაზე მომჩივნების საჩივარსა და მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების პოზიციას შორის. მათ შორის, პოლიციელების მიერ პროკურორის მოვალეობის შესრულებისას წარდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებული გარკვეული ვარაუდების მიღებაში.<sup>166</sup> ეროვნულმა სასამართლოებმა განაცხადეს, რომ პოლიციელების წარდგენილი მტკიცებულება სარგებლობდა ნდობის მაღალი ხარისხით, ხოლო იმ პირთა ჩვენებები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ სამართალდარღვევის ჩადენა, ვერ იქნებოდა სანდო, თუ არ დადასტურდებოდა სხვა მტკიცებულებებით, რადგან შესაძლოა, მიზნად პასუხისმგებლობის თავიდან არიდება ჰქონოდათ.<sup>167</sup> პოლიციელების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებით, მსგავსი მიდგომა საკმაოდ სწორად იყო გაკრიტიკებული უზენაესი სასამართლოს მიერ, როგორც ზოგადი პრინციპი.<sup>168</sup> პოლიციელების ჩვენებები არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით და მეორე მომჩივანი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, სადაც მოუწია საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება წაყენებული ბრალდებების საპასუხოდ. მაშინ როცა უთითებდა უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპზე, ობიექტურ მიუკერძოებლობაზე და თანასწორუფლებიანობაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ პოლიციელების მიერ წარდგენილი ჩვენებების შეფასებამ, მოცემული საქმის გარემოებებით, მთლიანობაში შეასუსტა მეორე მომჩივნის მიმართ სამართალწარმოების სამართლიანობა. ამასთან, არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული, რომ მან სრულყოფილად განიხილა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიდგომა; შესაბამისად, აუცილებელი იყო მსჯელობა, პოლიციელების მტკიცებულებებთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით და საქმეში სხვა დამატებითი მტკიცებულების არ არსებობის გამო.<sup>169</sup>

<sup>162</sup> იქვე, პარ. 15.

<sup>163</sup> იქვე, პარ. 23.

<sup>164</sup> იქვე, პარ. 27.

<sup>165</sup> იქვე, პარ. 29.

<sup>166</sup> იქვე, პარ. 60.

<sup>167</sup> იქვე, პარ. 61.

<sup>168</sup> იქვე, პარ. 62.

<sup>169</sup> იქვე, პარ. 64.

**მე-11 მუხლის დარღვევა:** საქმის მასალებში არ ჩანდა, რომ ის საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო ან მან პირადად გადაკეტა პარლამენტის შენობის შესასვლელი ან ხელი შეუშალა პოლიციელების მცდელობას, გაეხსნათ ის. მომჩივანი დააკავებს დაახლოებით 2 საათის შემდეგ, რაც პოლიციამ დაიწყო პარლამენტის შენობის შესასვლელების ხელმეორედ გახსნა. ბუნდოვანია, ეროვნულ დონეზე და სასამართლოში საქმისწარმოებისას, შეძლო თუ არა პოლიციამ იმ დროისთვის, ნაწილობრივი წარმატებით მაინც, შესასვლელების გახსნა. თუ მათ ეს მართლაც შეძლეს, მაშინ ამას გავლენა ექნებოდა მეორე მომჩივნის დაკავების და შემდგომი გასამართლების „აუცილებლობის“ და „თანაზომიერების“ შეფასებაზე.<sup>170</sup> მაშინაც თუ მივიჩნევთ, რომ მეორე მომჩივანი იყო იმათგან ერთ-ერთი, რომელმაც დატოვა პარლამენტის შენობის წინ საცალფეხო გზა და გადავიდა ტრანსპორტის სავალ გზაზე, ეროვნულ სასამართლოებს არ შეუფასებიათ ამ გზის გადაკეტვა იყო თუ არა განზრახი ქმედება ან შექმნილი გარემოებების შედეგი, აქციის მონაწილეების რაოდენობის და მასთან დაკავშირებული პოლიციელების მოთხოვნის „კანონიერების“.<sup>171</sup> სახელმწიფომ ვერ შეძლო, წარედგინა რელევანტური და საკმარისი საფუძვლები, რაც დაადასტურებდა მეორე მომჩივნის სამართალდამრღვევად ცნობის აუცილებლობას და პროპორციულობას, გაამართლებდა მისთვის 4-დღიანი საპატიმრო სასჯელის დაკისრებას.<sup>172</sup>

#### 4. მოცემული საქმის ანალიზი

არასრულწლოვან [REDACTED] უფლებაში ჩარევისთვის გამოყენებული ინტენსიურად მზლუდავი ღონისძიების (ადმინისტრაციული წესით დაკავების) მართლზომიერების შეფასებისთვის, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რამდენად შეესაბამება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის შესაბამის პრინციპებს კონკრეტული მზლუდავი ღონისძიებები და ქმედებათა განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესები. სასამართლოს მხრიდან შეფასების საგანს ასევე უნდა წარმოადგენდეს, რამდენად არსებობს საქმეში საკმარისი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებს, რომ საჯარო სივრცეში სადავო წარწერიანი ფურცლის/პლაკატის განთავსებამ შექმნა დაპირისპირების/ძალადობის რეალური და მყისიერი საფრთხე, რამაც, თავის მხრივ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და შესაბამისად, ცხოვრების ჩვეული რიტმის მომეტებული შეფერხება გამოიწვია. ამ მიზნით, საჭიროა, შეფასდეს, რამდენად არის შესაძლებელი ჩვეულებრივ ცხოვრებაზე თუნდაც მინიმალური ზემოქმედება მაშინ, როდესაც შეკრების მონაწილეთა ქცევა (ამ შემთხვევაში, არასრულწლოვან [REDACTED]) სრულად არამაღაღობრივია, ისინი არ გამოხატავენ აგრესიას სამართალდამცავების ან გამვლელების მიმართ, ასევე ხელს არ უშლიან ტრანსპორტის ან მოქალაქეების გადაადგილებას და არ ბლოკავენ შენობის შესასვლელს.

ამასთან, მნიშვნელოვანია, სასამართლომ, საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მხედველობაში მიღებით, განმარტოს, რამდენად შეიძლება ხელისუფლების წარმომადგენლის კრიტიკამ, რაც მისი მხრიდან საჯარო უფლებამოსილების

<sup>170</sup> იქვე, პარ. 104.

<sup>171</sup> იქვე, პარ. 105.

<sup>172</sup> იქვე, პარ. 106.

განხორციელებას შეეხება, თუნდაც ზღვარგადასული ან შეურაცხმყოფელი ენით გამოხატულმა, შეკრების მონაწილის სანქცირება გაამართლოს. ამ პროცესში, სასამართლომ სადავო, თუნდაც ვულგარული განცხადებები უნდა განიხილოს მისი გამოთქმის კონტექსტთან და მიზანთან ერთად და იმსჯელოს, უხამსი სიტყვების გამოყენება ხომ არ წარმოადგენდა სტილისტურ ინსტრუმენტს ადრესატის ქმედებებისადმი უკმაყოფილების მაღალი ხარისხის გამოხატვისთვის.

ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რიგ საქმეებში დაადგინა უფლების დარღვევა, რომლებიც შეეხებოდა აშკარად ვულგარულ ან/და შეურაცხმყოფელ, მათ შორის, სექსუალური ხასიათის გამოხატვას, როდესაც პროვოკაციული ენა ხელს უწყობდა პოლიტიკურ ან საზოგადოებრივი ინტერესის თემებზე დებატებს.<sup>173</sup>

ამ მიზნით, არსებითა, სასამართლომ განიხილოს, შეისწავლოს და გამოიკვლიოს ყველა მტკიცებულება და არ მიანიჭოს პოლიციელების შედგენილ დოკუმენტებს ან მათ ახსნა-განმარტებებს ნეიტრალურ მტკიცებულებასთან, ვიდეო ჩანაწერთან შედარებით უპირატესი მტკიცებულებითი ძალა. გარდა ამისა, აუცილებელია, სასამართლომ იმსჯელოს და განიხილოს პოლიციელების მოთხოვნის თუ განკარგულების „კანონიერების“ საკითხი.

მართალია, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების საკითხს არ განიხილავენ,<sup>174</sup> თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კრიტიკის საგანს წარმოადგენს ეროვნულ დონეზე დაკავების და მისი ვადის გაგრძელების საფუძვლების დაუსაბუთებლობა, რის გამოც დაკავება უკანონოდ და თვითნებურად ფასდება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, საქმის განმხილველმა მოსამართლემ იმსჯელოს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით დაცული ქმედებისთვის პოლიციელების მხრიდან ადმინისტრაციული დაკავების როგორც თავდაპირველი საფუძვლების,<sup>175</sup> ისე მისი 48-საათამდე<sup>176</sup> გახანგრძლივების

<sup>173</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, პარ.45.

<sup>174</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი“ გვ. 103-104 <<https://ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>> [ბოლოს ნანახია: 05.07.2023 წ.]

<sup>175</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილი: „საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად. თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, მისი ნივთების გასინჯვა და მისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.“

<sup>176</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლი: „1. ადმინისტრაციული დაკავების დროს დაკავებული პირი პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, წარედგინება სასამართლოს. 2. მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადა შეიძლება ერთჯერადად გახანგრძლივდეს არაუმეტეს 24 საათით. ამ შემთხვევაში

მიზანშეწონილობის საკითხზე. აღსანიშნავია, რომ დაკავების ოქმის მიხედვით, ადმინისტრაციული დაკავების საფუძველი სამართალდარღვევის აღკვეთა გახდა. აქციაზე წარწერიანი ფურცლის/პლაკატის განთავსების გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში მოქცევის საკითხთან მიმართებით, ზემოთ უკვე წარმოდგენილია შესაბამისი საერთაშორისო თუ კონსტიტუციური პრინციპებით მსჯელობა.

საგულისხმოა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიები მოქმედებს არა მხოლოდ სისხლის სამართალში, არამედ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების განხილვისას. შესაბამისად, პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობისთვის, აუცილებელია, სახელმწიფომ/ზრალდებამ (ამ შემთხვევაში, პოლიციამ) წარმოადგინოს უტყუარი მტკიცებულებები და არა მხოლოდ მათ მიერ შედგენილი დოკუმენტები ან ახსნა-განმარტებები. სასამართლომ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით, მტკიცების ტვირთი არ უნდა დააკისროს მოქალაქეს, სწორად უნდა შეაფასოს ნეიტრალური მტკიცებულების წონა და უაპელაციოდ არ მიანიჭოს უპირატესობა პოლიციელთა ახსნა-განმარტებებს ან/და ჩვენებებს. ამასთან, აუცილებელია, სასამართლომ წარმოადგინოს მსჯელობა და შეფასება საპროტესტო აქციაში მშვიდობიანი ფორმით მონაწილეობის და აზრის თავისუფალი გამოხატვის გამო პირის წინააღმდეგ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

## 5. დასკვნა

წინამდებარე საქმის სათანადო შეფასებისთვის, არსებითია, სამართალშეფარდება განხორციელდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკით დადგენილი ზემოხსენებული პრინციპების დაცვით.

ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, მოგმართავთ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი



უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი თანამშრომელი წერილობით ასაბუთებს ადმინისტრაციული დაკავების ვადის გახანგრძლივების მიზანშეწონილობას.

